

მედიაწიგნიერების მიზანი:

ნასწავლი ტექსტის გაგება-გაანალიზება; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარება; მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა ხედვის იდენტიფიცირება; მედიის მიერ სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან:

ქართ. V. 3. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული ფორმების აღქმა და მართებულად გამოყენება შესაბამის სამეტყველო სიტუაციებში.

ქართ. V. 2. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.

ქართ. V. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება.

ქართ. V. 11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, ინტერპრეტირება და მსჯელობა მათს ურთიერთ-მიმართებაზე; აქვს მედია-წიგნიერების საწყისი უნარ-ჩვევები.

გამოყენებული აქტივობები:

1. გონებრივი იერიში
2. ჯგუფური მუშაობა
3. დისკუსია
4. სქემები

წინარე ცოდნა:

მოსწავლეებმა იციან: ასოციაციური რუკის შევსება; ინფორმაციის მოძიება; ჯგუფში მუშაობა; გრამატიკული მასალის დამუშავება; გააზრებული კითხვა; დედააზრის ამოცნობა.

საჭირო რესურსი : დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, რვეული, კალამი, ბუქი.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა N1

წინარე ცოდნის შემოწმების მიზნით მასწავლებელი სვამს კითხვებს:

კითხვა	მოსწავლეთა საფარადო პასუხი
ვინ არის ავტორი მოთხრობისა „იავნანამ რა ჰქმნა?!“	იაკობ გოგებაშვილი
როდის და სად დაიბადა იაკობ გოგებაშვილი?	იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის.15 ოქტომბერს ახალი სტილით (27 ოქტომბერს ძველი სტილით) სოფელ ვარიანში
ხომ ვერ დაახასიათებდით პატარა იაკობს?	სუსტი, ჭკვიანი, გამჭრიახი,მკვირცხლი,სწრაფი ათვისების უნარის მქონე, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, ბეჯითი
რა იცით მისი სწავლა-განათლების შესახებ?	1855 წელს დაასრულა გორის სასულიერო სასწავლებელი; ამავე წელს ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში, გაიარა მხოლოდ სამი კურსი, სწავლა შეწყვიტა 1861 წელს, პარალელურად ესწრებოდა საბუნებისმეტყველო საგნების ლექციებს;
რა გახდა სწავლის შეწყვეტის მიზეზი?	ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (დაავადდა ტუბერკულოზით).
რომელ წელს დაბრუნდა სამშობლოში?	1863 წელს
სად დაიწყო მუშაობა?	1864 წელს დაიწყო მუშაობა თბილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს ამავე სასწავლებელში დაინიშნა ინსპექტორად
რატომ დაითხოვეს სამსახურიდან იაკობ გოგებაშვილი?	1874 წელს გამოაცხადეს “საზოგადოებრივი სამსახურისათვის არაკეთილსაიმედო პირად”
რა გადაწყვეტილება მიიღო სასოწარკვეთილმა მწერალმა?	ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო
როდის გარდაიცვალა და სად არის დაკრძალული იაკობ გოგებაშვილი?	1912 წლის 14 ივნისს ქ. თბილისში. იაკობ გოგებაშვილი დაკრძალეს დიდუბის ეკლესიასთან.

	წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერცხლის გვრგვინი მიართვა წარწერით: ხალხის მასწავლებელს – იაკობ გოგებაშვილს. 1940 აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავი და მისი ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთონში გადაასვენეს.
იაკობ გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის:	„ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“: „დედა ენა“; „ბუნების კარი“; ქართული ხალხური ანდაზების საფუძველზე შექმნილი მოთხრობები; „იავნანამ რა ჰქმნა?!“
რას შთაგვაგონებს მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?!“?	ჰუმანიზმს, ტოლერანტობას, პატრიოტიზმს, ხალხთა მეგობრობას, სხვა ერების მიმართ პატივისცემას, თანადგომას.

აქტივობა N2 (აქტივობას აქვს დროის ლიმიტი და მოსწავლეებმა წინასწარ იციან)

უკვე ნასწავლი ტექსტის გამეორების თვალსაზრისით, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინდივიდუალურ დავალებას:

Pover-Point-ში შექმნილი პრეზენტაცია წინასწარ არის ჩატვირთული მოსწავლეთა ბუკებში, რომელიც მოიცავს ტექსტსა (შესაბამისად ტექსტი თავებად არის დაყოფილი) და ყოველი მონაკვეთის ბოლოს დასმულ კითხვებს, მოსწავლეებს ევალებათ მასწავლებლის მიერ მითითებულ მონაკვეთზე მუშაობა, კონკრეტულად, ტექსტის წაკითხვა და ღია კითხვებზე პასუხის Word-ის ფაილში დაფიქსირება.

ეხმარება მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაში, ეხმარება ტექსტის გაგება-გააზრებაში (ეს არის ერთგვარი მზადება ჯგუფური მუშაობისთვის).

აქტივობა N3 (აქტივობას აქვს დროის ლიმიტი და მოსწავლეებმა წინასწარ იციან)

მოსწავლეები გაიხსენებენ ტროპის სახეებს (შედარება; მეტაფორა; გაპიროვნება; ეპითეტი; ჰიპერბოლა), მათ დანიშნულებას მხატვრული ტექსტის შესაქმნელად. ასახელებენ მაგალითებს: „მშვენიერი ორსართულიანი სასახლე“; „მაგდანი იყო სწორედ ოქროს გულის პატრონი“; „ორი ბაჯაჯგუნა ლეკი“ და სხვა.

აქტივობა N 4 (აქტივობას აქვს დროის ლიმიტი და მოსწავლეებმა წინასწარ იციან)

ჯგუფური მუშაობა (მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ბუკებს):

მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ გადაანაწილებს ჯგუფებში.

მასწავლებელი აცნობს პრეზენტაციის შეფასების რუბრიკას.

პირველ ჯგუფს ეძლევა დავალება ამოკრიბოს, შეაჯამოს და წარმოადგინოს ეპოქისათვის (XVI-XVII საუკუნე) დამახასიათებელი დეტალები, ინტერნეტში მოიძიოს და შეადაროს ნაწარმოებში ასახულ რეალობას. (ჯგუფში ფუნქციებს თავად მოსწავლეები გადაინაწილებენ);

მეორე ჯგუფს ეძლევა დავალება, დაახასიათოს მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები; **მესამე ჯგუფს** ეძლევა დავალება იმუშაოს სიმღერა „იავნანას“ როლსა და დანიშნულებაზე ზოგადად და ტექსტის მიხედვით (ინტერნეტში უნდა მოიძიონ სიმღერა „იავნანას“ ვარიანტები);

მეოთხე ჯგუფი მუშაობს მხატვრულ ხერხებზე, ტექსტში მათ დანიშნულებაზე (შედარება; მეტაფორა; გაპიროვნება; ეპითეტი; ჰიპერბოლა). მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას, როგორ უნდა შეასრულოს მეოთხე ჯგუფმა დავალება.

თავდაპირველად წაიკითხოს ტექსტი და გამოიყენოს ჩანიშვნის ხერხი, ჩაინიშნონ ტექსტის „გასალამაზებლად“, პერსონაჟის დასახასიათებლად, მოქმედების გასაზვიადებლად და ასე შემდეგ, გამოყენებული დეტალები.

რეგლამენტის დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფი აკეთებს გაწეული მუშაობის პრეზენტაციას.

ოთხივე ჯგუფი ამზადებენ პრეზენტაციას და ლიდერები წარმოადგენენ.

აქტივობა N 4 (აქტივობას აქვს დროის ლიმიტი და მოსწავლეებმა წინასწარ იციან)

მასწავლებელი კლასს მიმართავს სადისკუსიო კითხვით:

არის თუ არა ძიძა მთავარი პერსონაჟი?

სავარაუდო მოსაზრებები:

- ძიძა პირველხარისხოვანი პერსონაჟია, ხოლო ნაწილი მას მეორეხარისხოვნად მიიჩნევს.
- მოსწავლეები იცავენ თავის პოზიციას: საქართველოში ხშირი იყო მტერთა შემოსევები, განსაკუთრებით აღინიშნებოდა ლეკთა თარეში, ისინი იტაცებდნენ ბავშვებს, მაგრამ ძიძას მაინც ანდეს ქეთო გასასეირნებლად;

- სახელი არ შეარქვა ავტორმა;
- ავტორმა არც ნაიბსა და მის ცოლს შეარქვა სახელები;
- მიძა არ ჩანს ქეთოს ქორწილში დაპატიჟებულებს შორის;
- მიძა იხმეს სწორედ მაშინ, როცა ქეთოს სჭირდებოდა წარსულის გახსენება და ასე შემდეგ.

სავარაუდო შეჯამება - ზოგჯერ შეიძლება პერსონაჟის მოქმედება არ გაიშალოს მთელ ნაწარმოებში, მაგრამ ის მაინც იყოს მნიშვნელოვანი ფიგურა.

აქტივობა N5

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ ეპიზოდი, როდესაც ქეთო სთხოვს მაგდანს რთველში მოიწვიონ ნაიბი და მისი ცოლი და სვამს კითხვას:

როგორ გგონიათ, ეს არის გაწეული რისკი თუ შვილის ერთგვარი გამოცდა?

სავარაუდო პასუხები:

- მოსწავლეებს მიაჩნიათ, რომ ეს არის ერთგვარი რისკი, მაგრამ მაგდანმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.
- წინაღმდეგობას თუ გაუწევდა, შესაძლებელია მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო. ადამიანი იმით ფასობს, რომ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობით არ იფარგლება.
- ეს ხომ ეგოიზმია, მას ზოგჯერ უწევს რისკზე წასვლა, მაგრამ ეს რისკი რაღაცით უნდა იყოს გამართლებული, გამართლება კი ის არის, რომ მას შვილი უყვარდა და არ უნდოდა კიდეც ერთხელ დაეკარგა.
- მაგდანი კარგი პიროვნებაა.
- მან გადალახა წინააღმდეგობა, ემოქმედა სხვაგვარად.

აქტივობა N 6 (აქტივობას აქვს დროის ლიმიტი და მოსწავლეებმა წინასწარ იციან)

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაწერონ მცირე ესე

„რაც მტრობას დაუქცევია - სიყვარულს უშენებია“ (რეგლამენტი განსაზღვრულია).

წერის დაწყებამდე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას:

1. პირველ რიგში მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ სათაური რას გულისხმობს;
2. თხრობა ისე უნდა ააგონ, რომ გაითვალისწინონ სათაური და თავისუფლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებ;
3. ესე სტრუქტურა: შედგება სამი ნაწილისგან - შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; შესავალ ნაწილში უნდა გამოიკვეთოს მოსწავლის პოზიცია საკითხის

მიმართ; ძირითად ნაწილში მოსწავლემ მსჯელობით უნდა გაშალოს საკუთარი მოსაზრება და დაასაბუთოს, რატომ ფიქრობს ასე და არა სხვაგვარად; დასკვნით ნაწილში მოსწავლე აჯამებს საკუთარ თვალსაზრისს და მოკლედ, ეფექტურად გამოხატავს ძირითად სათქმელს.

რეგლამენტის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ (ნამუშევრები შეფასდება განმავითარებელი შეფასებით), დანარჩენ ნამუშევრებს მასწავლებელი ეცნობა მოსწავლეებისგან დამოუკიდებლად.

აქტივობა N 7

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ვერბალურად აჯამებენ:

რა ვიცოდი	რა გავიგე	რა მინდა გავიგო